572
1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1977 ოქტომბერი N 10

ცისარტყელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატი **მანანა მორჩილაძისა**

მიფრინავენ მერცხლები

კ. გოგიაშვილი

ოქროს შემოდგომაა,
გადაუვითლდნენ ფოთლები,
ჯირნახულით აივსო
მხიარული სოფლები.

ეურძენს, კომშს და ჩურჩხელებს
ვუცქერ, თავზე ვევლები,
დევებივით ქმინავენ
მაჯრით სავსე ქვევრები.

ტუე დახატა ბუნებამ,
წეაროს ბილიკს მივუვები,
ზამთრის სარჩო-სასუსნავს
დაეძებენ ციუვები.

მთაო, მთაო, მაღალო,
მალე შეივერცხლები...
აღარ ისმის ჟღურტული,
მიფრინავენ მერცხლები.

572
1977
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიჭუნა და წვიმა

მერი გოლქვაძე

პატარა ნიკა ეზოში დაცუნცულებს.

— წკაპ!

რა დაეცა ცხვირზე?—ნიკამ ზევით აიხედა.

— წკაპ!—ახლა ყურზე მოხვდა. ნიკამ ყურზე მოისვა ხელი.

— წკაპ!—ახლა ტიტველა ფეხებზე დაეცნენ „წკაპუნები“, ნიკამ ფეხებზეც დაიხედა.

— წკაპ-წკაპ, წკაპ!—შავი ფერის კოპლებით მოიხატა მიწა. ნიკასაც უფრო და უფრო დაუშინეს „წკაპუნებმა“. აიძურწა ნიკა. თავი მხრებში ჩარგო და სახლისაკენ მოუსვა; ბურთივით შეევარდა ოთახში.

— რა იყო, ნიკა,—ჩაიხითხითა ნიკას ბიძამ,—უკან ხომ არავინ მოგდევს?

ნიკამ ხმა არ ამოიღო, გაბუსული იყურება.

— ძაღლი გამოგეკიდა? ფისო? მაშ?—იღიმება ბიძა,—ხმას რატომ არ იღებ?

ნიკა, როგორც იქნა, დაიძრა ადგილიდან, კარის ზღურბლს მიუახლოვდა და ფრთხილად გაიჭვრიტა გარეთ, „წკაპ“,—მაშინვე მოხვდა თავში და ისევ შემოვარდა ოთახში.

— ვის ეთამაშები?—ახლა ნიკას ბიძამაც გაიხედა გარეთ და მხიარულად ახითხითდა:

— ჰოო, აი, თურმე ვინ გამოგეკიდა, აი, თურმე ვის ეთამაშები! პირველად ნახე წვიმა?

ნიკა გაოგნებული აპაჭუნებს თვალებს.

— იჰ!—ხითხითებს ძია. წვიმა კი ეზოში დარბის და ნიკას ეძახის:

— ნიკა, გამო გარეთ, ნიკა!—რა ონავარია, ასკინკილით დახტის; ვიდრე არ ჩამოვარდებიან, „წკაპუნები“ სასაცილოდ კონწიალობენ სარეცხის თოკებზე, სინათლის მავთულებზე, ფოთლებზე...

ნიკამ კარს ჩაავლო ხელი, ცალ ფეხზე დადგა, ცალი კი გარეთ გააპარა: „წკაპ, წკაპ“!—იმწამსვე წამოუშინეს თავში. ნიკამ წვიმასავით წკრიალა ხმით გაიცინა და ფეხი შეიცვალა...

— გამო გარეთ,—შეეხვეწა წვიმა,—ნახე, ყვავილები როგორ ვაბანავე!

ნახატები **თამაზ ხუციშვილისა**

13491

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— არა!—გაეპრანჭა ნიკა.

— რატომ?—ეწყინა წვიმას.

— რატომ და...—ნიკას მაგივრად ნიკას ძია ადურდურდა:—არ გაგივა ეშმაკობა, ნიკაც გინდა აბანაო?

— ჰო!—სიცილით ჩაიჟუჟუნა წვიმამ,—მერე, ცუდია ბანაობა?

— ცუდი რად არი, ოღონდ ნიკას თავის დედა აბანავებს, დედა ტყუილად ჰყავს?

— ჩემზე კარგად აბანავებს?

ნიკას ძიამ ასკილივით დააკანტურა თავი.

წვიმა კი წყენით აიმრიზა, მერე ადგა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, წამოუშინა, თქრიალ-თქრიალით, ღვარ-ღვარით წამოვიდა... ისე გალუმპა და გადარეცხა იქაურობა, სულ ღრიჭინი და კრიალ-კრიალი დააწყებინა. ნიკამ უყურა, უყურა წვიმას, მერე ერთი კი გახედა ძიას მალულად და ფეხაკრეფით გაძვრა გარეთ. წვიმაც მაშინვე სასიამოვნო სიგრილით გადაეკურა:—მოდი, მოდი!—მიეგება, თავ-პირი ტკბილი გურგურით და ქოთ-ქოთით ჩამოჰბანა, ტანზეც ჩამოურბინა... „ჭუპი-ჭუპი"—დაამღერა თანაც ისე, დიდებმა რომ იციან ხოლმე. ოღონდ, ეგ არის, საპონი არ წაუსვია და ამიტომ ტირილის მაგივრად, ნიკა მხიარულად აცქმუტდა და ახითხითდა... უცბად სახლიდან ნიკას ძია გამოვარდა:

— გამეპარე, არა, მაინც, შე კუსუნა! დაგინახოს დედამ, ერთი, ეგრე რომ გაილუმპე წვიმით! დაგინახოს!—დასტაცა ხელი და გოჭივით აჭყივლებული ნიკა შინისაკენ გააჭანა.

— რა, ცუდად ვაბანავე?! თან არც ამიტირებია.

წვიმა წკაპაწკუპით მისდევდა უკან გალუმპულ ბიჭუნას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ნია— გრუზინსკაია“

ლეილა ერაძე

ჩემი ძმა თუ ბამზე არის,
მეც ვიქნები ბამელი,
რა ვუყოთ თუ პატარა ვარ
ძმაზე ხუთი მტკაველით
დაბა „ნიას“
გაშენება,
დამშვენება სჭირდება.
გული მერჩის, ტაიგაში
არც მე გამიჭირდება.
უჰ, რამსიგრძე ღიანდაგი
გაჰყავთ თურმე რკინიგზის,
აშენებენ სახლებს,
სკოლებს
და კიდევ რას,
ვინ იცის...
არ უფრთხიან ზამთრის ყინვებს
და არც გვაღვას გვარიანს,
აშენებენ ქართველები
„ნია-გრუზინსკაიას“.
მამა მიშვებს და ვარ წასვლის
სამზადისში გართული,
ჩემს ძმას უნდა ჩავუტანო
შემოდგომა ქართული.

ნახატი **ზაურ დეისაძისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერცხლები

იოსეგ პავლიაშვილი

გაზაფხულზე, ჩვენი აივნის შუშაბანდის ზემოთ, კუთხეში, მერცხლებმა ბუდის შენება დაიწყეს.

— მალე ჩვენს მერცხლებს ბუდე ექნება და ბარტყებს დაჩეკენ,—უხაროდათ ბავშვებს. მეც მიხაროდა.

მერცხლებმა მალე დაამთავრეს ბუდის შენება, კვერცხებიც დადეს და ბარტყებიც გამოჩეკეს.

იმ ხანებში წვიმიანი ამინდები დაიჭირა. ერთხელაც ისეთი ქარიშხალი ატყდა, ჭექა-ქუხილი მიწას აზანზარებდა.

ნინო და კახა შიშით თვალებდაჭყეტილები შეჰყურებდნენ მერცხლის ბუდეს, სახურავიდან წამოსული წყალი საწრეტ მილებში ვეღარ დაეტია და გვერდებზე გადმოხეთქა. ქარი კი ისე მძლავრად უბერავდა, წყალს მიმართულებას უცვლიდა და ბუდეს ესხმებოდა. მერცხლები ებრძოდნენ სტიქიას. ფრთებს მჭიდროდ აფარებდნენ ბარტყებს.

— ბუდეს ჩამოაგდებს, მამა! კიბე მოიტანე, ბუდეს ფიცარი მოვაფაროთ!—მოიფიქრა ნინომ.

კიბის შემოსატანად სადარბაზოში გავვარდი, ფიცარი, ჩაქუჩი და ლურსმანი მოვნახე და შუშაბანდში დავბრუნდი.

— ჩქარა, მამა, ჩქარა, საცაა ჩამოვარდება!—შემომძახა კახამ.

კიბეზე ავედი, ბუდეც მოირღვა, ისღა მოვახერხე, ფიცარი შევუშვირე და უვნებლად დავიჭირე.

მერცხლები შუშაბანდში შემოფრინდნენ და სარეცხის თოკზე დასხდნენ.

ყველანი მაგიდაზე დადებულ ბუდეს მივეხვიეთ.

წვიმამ რომ გადაიღო, უკვე ბნელოდა. შუშაბანდში სინათლე არ ავანთეთ, გვეშინოდა ფრთოსნები არ დაფეთებულიყვნენ. მეორე დღეს, ირიჟრაჟა თუ არა, მერცხლები გაფრინდნენ, მალე დაბრუნდნენ და ბარტყებისათვის საკვები მოიტანეს. ცოტახნის მერე სხვა მერცხლებიც მოფრინდნენ. ჩვენი შუშაბანდის გახსნილ ფანჯრებს უტრიალებდნენ. მათგან ზოგი უფრო გულადი გამოდგა და მაგიდაზე ბუდესთან დაფრინდა.

— უყურეთ,—ვუთხარი ნინოს და კახას,—რამდენი მეგობარი მოუვიდათ.

— მამი, ესენი ამათი ნათესავები იქნებიან, ბიძაშვილები, ან დეიდაშვილები.

კიბეზე ავედი, ნაბუდრის აქეთ-იქით ლურსმნები ჩავარჭვე, მავთული გავხლართე და ბუდე მივადგი.

უცებ დედა მერცხალმა სამხიარულო ჭიკჭიკი მორთო. იმწამსვე მამა მერცხალმაც ბუდეს მიაშურა. მერე მათ სხვებიც შეუერთდნენ და მხიარული ჭიკჭიკით—გადარჩენილ ბარტყებს თავს დასტრიალებდნენ.

ჩვენც, დიდი და პატარა სიხარულმა აგვიტაცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატები **მანანა მორჩილაძისა**

მაყვალა და მაყვალი

ტარიელ ხავთასი

ბარდზე მაცდურად ციმციმებს
ჩაშაქრებული მაყვალი,
დგას და ნერწყვს ყლაპავს
მაყვალა,
— ნეტავ ვიყოო მაღალი.

ხან შეხტა, შეეპოტინა,
მაინც ვერ სწვდება მაყვალსა;
ბარდი ხან ხელებს უკაწრავს,
ხან—კაბას ახალთახალსა.

ნაკადული

თედო გეჭიშვილი

ნაკადულმა პატარამ
მთიდან ჩამოირბინა,
უკან ჩამოიტოვა
სათიბები ბიბინა.

უზარმაზარ ლოდებზე
ასკინკილით იხტუნა,
ულრან ტყეში შევიდა,
ჩრდილი გადაიხურა,
დაარწყულა შვლის ნუკრი
და ბაჭია დიდყურა.

გზა-გზა მთელი სიკეთე
გასცა დაუნანებლად...
და მდინარის დინებას
უხმაუროდ დანებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შუშხუნა ლიმონათი

აკაკი გეწაძე

— ბებიკო, ლიმონათში მართლა ათი ლიმონია ჩაწურული და იმიტომ ჰქვია ლიმონათი?—იკითხა მაიამ.

— ვინ გითხრა?!—გაიკვირვა ბებიამ.

— მე ვუთხარი,—გაეპასუხა უფროსი შვილიშვილი ხათუნა,—აი, დავითვალოთ; ლიმონ ერთი, ლიმონ ორი, ლიმონ სამი, ლიმონ ოთხი, ლიმონ ხუთი, ლიმონ ექვსი, ლიმონ შვიდი, ლიმონ რვა, ლიმონ ცხრა და ლიმონ ათი!

— ჰოო, მეც არ გამიკვირდა! აგრე, ბებიკო, „ათი“ იმდენ სიტყვას აბია კუდად, რომ...

— მართლა?!

— აბა, მოიგონეთ!

— თ-ათი,—თქვა გაუბედავად ხათუნამ და გაწითლდა.

— ეგეც გამოდგება, ოღონდ უკეთესი მაგალითის პოვნაც შეიძლება. აბა, გაეჯიბრეთ!—შვილიშვილები წააქეზა ბებიამ.

— კალ ერთი, კალ ორი, კალ სამი...—დაიწყო მაიამ და უცებ გადახტა—კალ-ათი!

— ყოჩაღ!—შეაქო ბებიამ,—კიდევ?

— ხალ ერთი, ხალ ორი, ხალ სამი... ხალ ხუთი... ხალ ცხრა... ხალ—ათი!—ახლა ხათუნამ იყოჩაღა.

— კიდევ, კიდევ! აბა! ისევ დაუფიქრდით!—არ მოეშვა ბებია.

ხათუნამ თვალებზე მიიფარა ხელები, მაიამ თავისთვის დაიწყო ბუტბუტი.

— მეტი არ არის,—დამნაშავესავით წაიჩურჩულა უმცროსმა დამ.

— არის, კი არის!—ხელები მაღლა აისროლა თვალებგაბრწყინვებულმა ხათუნამ,—გუშინ მამამ რა ზღაპარი გვიამბო?

— გოლიათი!—შესძახა გახარებულმა მაიამ.

დები კვლავ ჩაფიქრდნენ.

— მეტი აღარ არის,—თქვა სინანულით ხათუნამ.

— აბა, შვილო, მეორე ოთახში გადი და გამიგე, რა დროა?

— სა ერთი, სა ორი...—საათი!—შეჰყვირა ხათუნამ.

— ხომ ყოფილა? აბა, კიდევ დაფიქრდით! ვერ მოიგონეთ? მამიდამ სოფლიდან რა გამოგიგზავნათ?

— ჩურჩხელები, ფელამუში, კომში და ბრო-

ნახატი **ედუარდ ამბოკაძისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წეული!—სხაპასხუპით მიაყარა მაიამ.

—ეგ ყველაფერი რაში იდო?—ჩაეკითხა ბებია.

— ყუთში.

— მერედა, ასეთ ყუთს რა ჰქვია?

— ამანათი, ამანათი!—პირველი ხათუნა მიხვდა, შეხტა და ტაში შემოჰკრა.

— თუ გახსოვთ, იმ ამანათს კიდევ რა ეწერ-ვა?

— წერილი! – მიუგო მაიამ.

— ბარათი,—შეუსწორა ხათუნამ.

— საჩუქარს სხვა სახელი რა ჰქვია კიდევ?

— ნობათი!—ერთად წამოიძახა ორივე დამ.

— ეკლესიას თავზე რა ადგას?

— ჯვარი!—თქვა მაიამ.

— გუმბათი! — მიეშველა ხათუნა.

— ჩიტებს რითი იჭერენ?

— კაკანათით.

— პარასკევს რა დღე მოსდევს?

— შაბათი.

— აი, თურმე „ათით“ რამდენი სიტყვა ბოლოვდება! დაუფიქრდით, იქნებ კიდევ მოიგონოთ!

დუმილი ჩამოწვა.

— ვერ მოიგონეთ? ხარაზს ხელში რა უჭირავს?

— სადგისი,—თქვა ხათუნამ.

— სადგისიც და მახათიც,—გაუსწორა უფროს დას უმცროსმა.

— ტკბილ სასმელს რა ჰქვია?

— სიროპი!—წამოისროლა ხათუნამ.

— მერე სიროპს ბოლოში „ათი“ უზის?

ტკბილი სასმელის სხვა სახელი ბავშვებმა ვერ გაიხსენეს და ბებია მიეშველა:

— შარბ-ათი.

— ჰო, მართლა, შარბათი! — ხათუნამ თავი მორცხვად ჩაჰკიდა და თმას დაუწყო თითზე დახვევა და წვალება.

მერე ბებიამ გაიხსენა, რომ ერთად შეყრილ ბევრ ხალხს ჯამაათი ჰქვია, ზოგ სიმღერას — ბაიათი, ხოლო ანთებულ კვარს—სანათი.

— აუჰ, ეს რა შუშხუნა ლიმონათი დავლიეთ გვეყოფა, დღეს ამით დავამთავროთ მასლაათი!— დაასკვნა ბებიამ და უმალვე დასძინა:

— ხედავთ, ანაზდად ერთი სიტყვაც ენაზე თავისით წამოგვიხტა.

— ბებიკო, რა არის მასლაათი?—ჩაეძია მაია.

— მასლაათი იგივე საუბარი და ლაპარაკია.

იმ დღეს ხათუნა და მაია კიდევ დიდხანს ფიქრობდნენ, „ათით“ სხვა რა სიტყვები ბოლოვდებაო, თავი იმტვრიეს და ვეღარ მოიგონეს.

ნუთუ „ათით“ სხვა სიტყვები არ ბოლოვდება? აბა, გაიხსენეთ, ბავშვებო!

60 იუბილეური კალენდარი

ალექსანდრე გრიგოლის ძე წულუკიძე

(1876—1905)

ალექსანდრე (საშა) წულუკიძე დაიბადა საქართველოში, ქუთაისის მაზინდელი გუბერნიის დაბა ხონში. დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. შემდეგ კი სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში.

ა. წულუკიძე რევოლუციურ მუშაობაში ჯაბუკობიდანვე ჩაება. 1895 წელს იგი შეიდა „მესამე დასის" ქუთაისის ორგანიზაციაში და რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ქუთაისში, თბილისსა და ბაქოში.

1897 წელს წულუკიძე სწავლობდა მოსკოვში, იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც იგი დიდი ინტერესით სწავლობდა მარქსისა და ენგელსის ნაშრომებს, მუშათა მოძრაობის ისტორიას, ფილოსოფიას, პოლიტიკურ ეკონომიას. აქვე გაეცნო ა. წულუკიძე ლენინის შრომებს.

1899 წელს ა. წულუკიძე საქართველოში დაბრუნდა და მთელი ორსტვინი ჩაება რევოლუციურ მუშაობაში: აწყობს მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეებს, ეწევა მარქსიზმის პროპაგანდას, ხელმძღვანელობს თბილისის მუშათა გაფიცვებს, მოღვაწეობს პრესაში.

1900 წელს ა. წულუკიძე პარტიული მუშაობისათვის გაგზავნეს ბათუმში, სადაც რაზმავდა ბათუმის მუშებს ცარიზმის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

1903 წლის მარტში კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველ ყრილობაზე ა. წულუკიძე აირჩიეს რსდმ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრად. იგი იყო რსდმ კავკასიის კავშირის ინერეთ-საქართველოს კომიტეტის ერთ-ერთი შემქმნელი და ხელმძღვანელი.

ა. წულუკიძე მონაწილეობდა ბოლშევიკური არალეგალური გაზეთების „პროლეტარიატის ბრძოლისა" და „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცლის" გამოცემაში, ბეჭდავდა სტატიებს ამ გაზეთებში.

თავისი გამოსვლებითა და სტატიებით ა. წულუკიძე ბოლშევიკური პოზიციებიდან ებრძოდა მენშევიკებსა და ოპორტუნისტებს, მტკიცედ იცავდა ლენინის პარტიის იდეოლოგიურ საფუძვლებს.

1905 წელს მეფის პოლიციამ ა. წულუკიძე დააპატიმრა და მოათავსა მეტეხის ციხეში, საიდანაც ამხანაგების დახმარებით მალე გაიქცა და კვლავ განაგრძო რევოლუციური საქმიანობა.

ა. წულუკიძე იყო ღრმად განათლებული მარქსისტი. მის კალამს ეკუთვნის არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი ნაშრომი. ამ ნაშრომებში ა. წულუკიძე შესანიშნავად, ღრმად აშუქებს ეროვნულ საკითხს, მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის საკითხებს, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის, პარტიის ხელმძღვანელი როლის შესახებ.

მძიმე პირობებში მუშაობამ და სასტიკმა დევნამ შეარყია ა. წულუკიძის ჯანმრთელობა, იგი სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა ტუბერკულოზით.

ა. წულუკიძის დაკრძალვა გადაიქცა გრანდიოზულ დემონსტრაციად.

მისი ნაშრომები გამოცემულია ქართულ და რუსულ ენებზე, დაბა ხონს კი, სადაც იგი დაიბადა, მისი სახელი ჰქვია.

ლადო ზაქარიას ძე კეცხოველი

(1876—1903)

ლადო ზაქარიას ძე კეცხოველი დაიბადა სოფელ თლისში (ყოფილი გორის მაზრა). იგი ორნახევარი წლისა იყო, მისი მშობლები, რომ სოფელ ტყვიავში გადასახლდნენ.

პატარა ლადო ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ კი თბილისის მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიაში.

სწორედ თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდიდან იწყება მისი რევოლუციური საქმიანობა: იგი სემინარიის მოსწავლეთა გაფიცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, რისთვისაც სემინარიიდან გარიცხეს.

ლადო კეცხოველი ამის შემდეგ ტყვიავში დაბრუნდა. იგი ბევრს კითხულობდა, რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდა გლეხებში და სოფლის ცხოვრების საკითხოორტო საკითხებზე კორესპონდენციებს ათავსებდა იმდროინდელ პერიოდულ პრესაში.

მალე ლ. კეცხოველი კიევის სასულიერო სემინარიაში ავრძელებს სწავლას. აქ მის რევოლუციურ საქმიანობას ახალი, ფართო ხასიათი ეიეცა, იგი კიევში დაუკავშირდა სოციალ-დემოკრატიულ წრის წევრებს. მალე იგი კიევის სასულიერო სემინარიიდან გარიცხეს და თავის სოფელში (ტყვიავში) გადაასახლეს.

ამის შემდეგ ლადო კეცხოველი პროფესიულ რევოლუციურ მოღვაწეობას ეწევა. ფარულად ჩადის თბილისში, შედის საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაცია—„მესამე დასში" და ეწევა პროპაგანდისტულ მუშაობას მუშათა შორის; სიტყვებით გამოდის მიტინგებზე და მოუწოდებს მუშებს თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1900 წელს, 1 იანვარს მისი ხელმძღვანელობით მოეწყო თბილისის კონკის მუშათა გაფიცვა, ამის შემდეგ იგი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტის დავალებით ბაქოში ჩავიდა, სადაც მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა არალეგალური სტამბა.

ამ პერიოდში ლ. კეცხოველს მიწერ-მოწერა ჰქონდა ლენინთან, ლენინის „ისკრის" რედაქციასთან და მალე ლ. კეცხოველის სტამბამ „ისკრის" გადაბეჭდვაც დაიწყო. აქვე, ამ სტამბაშივე იბეჭდებოდა ლენინურ-ისკრული მიმართულების გაზეთი „ბრძოლა", რევოლუციური ბროშურები და პროკლამაციები.

1901 წელს ბაქოში ჩამოყალიბდა რსდმ ბაქოს კომიტეტი, რომლის შექმნაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო ლ. კეცხოველმა.

1902 წელს მეფის ჟანდარმებმა კეცხოველი დააპატიმრეს და თბილისში, მეტეხის ციხეში ჩასვეს, სადაც იგი ვერაგულად მოჰკლა ციხის მოსაყიდულმა გუშაგმა.

ლადო კეცხოველი იყო მტკიცე, შეუდრეკელი ლენინელი. მისი სახელი უკვდავია. მის სახელს ატარებს ჩვენი ქვეყნის ქალაქების ბევრი ქუჩა თუ მოედანი, კოლმეურნეობა. მწერალმა იაკინთე ლისაშვილმა კი მის უმწიკლო ცხოვრებასა და მოღვაწეობას რომანი მიუძღვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო და ოთხი ჯამბაზი

ზ უზანა მგელაძე

წაიყვანეს ცირკში ნიკო,
ხაღხს ვერ იტევს დარბაზი,
არენაზე კურდღლის კიკო
ცეკვავს, როგორც ჯამბაზი.

— დედი, ნახე,—ეუბნება
დედას ბიჭი პაწია,
— ფისო არის დირიჟორი,
თათი მაღლა ასწია.—

აწკრიალდა საღამური,
ღოღმა დაიგუგუნა,
ღოღზე უკრავს კუდა-მელა,
საღამურზე თაგუნა.

ამ დროს ტაშმა იგრიალა,
ახმაურდა დარბაზი,
თავს უკრავდა მაყურებელს
ცირკის ოთხი ჯამბაზი.

ყურცქვიტას სიზმარი

ცირა ქიტიაშვილი

ჩაეძინა ყურცქვიტას,
დაესიზმრა სამხარი:
ორი დიდი ხახაღი,
სტაფილო და ჭარხაღი,
შვიდი თავი კომბოსტო,
კიტრი ახაღთახაღი.
აღარც საზრუნავია,
აღარც თავში სახაღი.
ხრამი-ხრუმი, ხრამი-ხრუმი,
მოხარშული, ხანაც—უმი.
ჭამა, ჭამა, მოსვა წყაღი,
გაეღვიძა... უჰ, საწყაღი,
საღლა არის ხახაღი,
სტაფილო და ჭარხაღი,
შვიდი თავი კომბოსტო,
კიტრი ახაღთახაღი.

ნახატები **ელისო ცაგაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეშმაკი თაგვი

უშანგი გედია

თაგვი ფულუროში იჯდა და ფიქრობდა: ჩემ სიცოცხლესაც, ვითომ სიცოცხლე ჰქვია, ტყეში თავისუფლად ვერ გამივლია, სულ შიშში ვარ, ყველა მე მერევა და ყველას ჩემი შეეშმა უნდა: ბუ—გინდა, მელია—გინდა... რა უნდათ, რას მერჩიან?!

— შიმშილი!—მოესმა უცებ. თაგვმა მიიხედ-მოიხედა, ვერავინ დაინახა.

— ალბათ მომესმა,—ჩაილაპარაკა თავისთვის და ისევ საკუთარ საფიქრალსა და სადარდელს მიუბრუნდა:

— მაინც რა ხერხს მივმართო, იმ გრძელკუდა მელიას თავიდან მოსაშორებლად?

— ეშმაკობა უნდა!—გარკვევით გაიგონა წრუწუნამ. თაგვი შეცბა, აკანკალდა, ბეწვი აებუძგა,—ყური მატყუებს, თუ რა ამბავია ჩემს თავს?—ლამის იყო, შიშით სული გაეპარა, როდის-როდის ცალი თვალით ფულუროდან გამოიხედა, ახლომახლო საშიში ვერაფერი დალანდა, მერე გამოვარდა და ხეს შემოურბინა. თაგვმა თავი აქეთ-იქით გაიქნია:—ფულუროა და მაინც იმედიანად არის, მე რატომ უნდა მეშინოდეს?!

— შენ ეგ თქვი!—დაუდასტურა იმ უცნაურმა ხმამ. წრუწუნას მეტი აღარაფერი გაუგია, შიშისაგან თვალთ დაუბნელდა, ღონე გამოეცალა და გონება დაკარგა... თვალი რომ გაახილა, წინ მელია ედგა და იღიმებოდა. წრუწუნა არც მოკვდა და არც დარჩა.

— რამ შეგაშინა, შე კაცო!—დაუყვავა მელიამ.

— რა ვიცი!—ხმის კანკალით მიუგო თაგვმა.

— ახლოს მოდი, ერთი უნდა შეგხედო, როგორ ადგამ ემაგ ლამაზ ფეხებს. თაგვი რის ვაი-ვაგლახით მივიდა და მელიას წინ დასკუპდა. მელიამ ახედ-დახედა:—ტყეში რას აკეთებ?—თაგვმა ყური მოიყრუა, მელიამ უფრო ბოხი ხმით გაუმეორა:—შენ გეკითხები, ამ ტყეში რას აკეთებ-მეთქი?

— რას უნდა ვაკეთებდე, საზრდოს საშოვნელად წამოვედი.

— ხა, ხა, ხა, ხა,—გადაიხარხარა მელიამ,—შე ბატის ტვინავ, მხეცები სარჩოს საშოვნელად სოფელში მიდიან და შენ აქეთ წამოხვედი?

„ნეტა რა აცინებს, რასა ხედავს სასაცილოს“,—ფიქრობს თაგვი:

— მელა ბატონო, ტყეში ზღმარტლია, პანტაა, წიფელი.

— მართალია, სულ დამავიწყდა, ტყეში გარეული ხილის მეტი რა იშოვება,—მელიამ ისევ გაუცინა. წრუწუნა, ცოტა არ იყოს, გათამამდა:

— ერთი სათქმელი მაქვს, ბატონო მელია და იმისთვისაც გეახელით ტყეში.

— თქვი, შე კაცო, რა გინდა?

— გადავწყვიტე, ტყის ნადირებზე წიგნი დავწერო... შენზე ჭკვიანი და მოხერხებული ამ ტყეში სხვა ვინ იქნება.

— რაო, რაო, რა დავწეროო?—ჰკითხა მელიამ, მერე მიწაზე გაგორდა, ახარხარდა, ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდებოდა, ხან—მეორეზე, როდის-რო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დის, სული ძლივს მოიბრუნა. ბოლოს, ერთბაშად მოისხიპა სიცილ-ღიმილი, წამოდგა და სერიოზულად ჩაეკითხა:—წიგნის დაწერა შენ მოიფიქრე? გიცდია სხვა დროს? ეგ ურიგო საქმე არ უნდა იყოს!

მერე ირონიულად ჰკითხა:

— ჩემზე რა უნდა დაწერო, ცუდი თუ კარგი?

— კარგი, ბატონო, როგორ გეკადრებათ, თქვენზე ჭკვიანი, თქვენზე მოხერხებული, ბრძენი, ღონიერი სხვა ვინ დადის ამ ტყეში.

მელია სიამოვნებისაგან გაიბადრა.

„ერთი დამიხედეთ ამას“,—გაიფიქრა წრუწუნამ,— „ამბობენ მელია ეშმაკიაო, პირიქით, უჭკუო და სულელი ყოფილა, როგორ შეიშნოვა ქება!“

ეს რომ გაიფიქრა, კიდევ უფრო გათამამდა:

— მელა, ბატონო,—დაშაქრული ღიმილით მიმართა თაგვმა,—თქვენს სასარგებლოდ ერთი რამეც უნდა ვთქვა:

— ბატონი ბრძანდები.

— ამას წინათ მეტყველებმა ტყეში მონადირეები მოიყვანეს.

მონადირის ხსენებაზე მელია ფეხზე წამოვარდა:

— ჰაიტ, შე წრუწუნა, შენა, მონადირე რად მიხსენე, თუ გულში რაიმე ბოროტება არ გიდევს?!— დასჭყივლა თაგვს.

— ჯერ სათქმელი დამამთავრებინე და მერე— თუ გინდ შემჭამე.

— მიდი, მიდი, თქვი!

— ჰოდა, იმას ვამბობდი, მეტყველებმა მონადირეებს უთხრეს: ტყეში ტურა და მელა მომრავლდა და კურდღელს ერთიანად გაავლეს მუსრიო. ჰოდა, ახლა თქვენზე, მგლებზე და ტურებზე ნადირობა განუზრახავთ.

ნახატები **გრიგოლ გაფრინდაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ამის წერა ხომ ღირს! ხომ უნდა ვამხილოთ ადამიანები ავკაცობაში, ყველაფერს რომ ჩვენ გვაბრალებენ!

— ყოჩაღ!—აღტაცებისაგან ტაში შემოჰქრა მელიამ,—ამდენს კი აღარ ველოდი შენგან: ჭკუის კოლოფი ყოფილხარ! თაგვი კი არა, მელია უნდა გერქვას, მაგრამ ასეთი დალეული რომ ხარ, ეგ გიშლის ხელს.

იმ დღეს მელია და თაგვი პირზე კოცნით დაშორდნენ ერთმანეთს.

გავიდა რამდენიმე თვე. თაგვი ფუღუროში იჯდა, იშვიათად გამოდიოდა გარეთ. ერთ დღესაც ტყეში აურზაური ატყდა:

— რა წიგნი დაუწერია, კაცო, ჯერ ასეთი რამ ცხოველთა სამყაროზე არ წამიკითხავს!—გაჰკიოდა თხუნელა, რომელსაც, როგორც ყოველთვის, ახლაც ცხვირ-პირი მიწით ჰქონდა მოსვრილი.

— რა არ მინახავს, მაგრამ ასეთი მაღალხარისხოვანი ფრაზები—არასოდეს!—წამოიყიყინა ლაყუჩგასიებულმა ბაყაყმა.

— მართალია, მართალი, ძმაო! რა ყოფილა ეს თაგვი!—თავაწეული ქაქანებდა მწვანე ხვლიკი და თან ჯოჯოს თვალს უკრავდა, მხარი დამიჭირეო.

გველი მზეზე იწვა და თავისთვის სისინებდა:

— ბატონი თაგვისთვის საცხოვრებლად ფუღურო შეუფერებელია, სჯობია ვეფხვის ბუნაგი მივცეთ, კუდს თავისუფლად მაინც მოიქნევს!

— სწორია, სწორი, თაგვი ნამდვილად ბუნაგის ღირსია,—იჭაჭებოდნენ დანარჩენი ქვეწარმავლებიც.

ლომი და ვეფხვი იდგნენ და ერთმანეთს გაკვირვებით უყურებდნენ.

პირდაღებული მელია პირჯვარს იწერდა:

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, კიდევ კარგი, ეგ წრუწუნა მაშინ არ შემომეჭამა, თორემ რა გენიოსი დააკლდებოდა ქვეყანასო.

— ვაი, თქვენს პატრონს, უბედურს,—ფიქრობდა კოდალა და გამწარებული ხეს უკაკუნებდა,—ერთმანეთის ქებაში სული ამოსდით, დათვს ვინ ჩივის, აღარც ლომისა სწამთ და აღარც ვეფხვის.

— ძალიან თავს წავიდნენ, მაგათ, ჭკუაზე მოსასვლელად, ერთი სახრე მოუხდებათ!—დაიბუხუნა ლომმა, მაგრამ მერე უიმედოდ ჩაიქნია ტორი და ტყეს გაშორდა. ვეფხვიც თან მიჰყვა.

ამ დროს ქარმა დაუბერა, თაგვის სოროდან ხელნაწერი ფურცლები სულ თითო-თითოდ გამოაფრიალა და შორს, ტყის იქით, გაშლილ მინდორზე ფურცელ-ფურცელ მიმოფანტა.

ტყემ შვებით ამოისუნთქა.

ალექსანდრე ტაბატაძე

შოშია

გამოალვიძა გალობით
ხან ვისი ეზო, ხან—ვისი...
ტოტიდან ტოტზე დაფრინავს,
მღერის და უსტვენს ხალისით.

ვის რას უშავებს შოშია,
იგალობოს და უსტვინოს,
სოსოს კი უკვირს: ნეტავი,
როგორ უსტვენსო უსტვიროდ?

გლისერი

გელას არ უნდა ნაღები,
კარაქი, ჩაი, კისელი,
სულ ითხოვს ზღვაზე წავიდეთ,
გავისეირნოთ გლისერით.

სხვა არაფერი არ უნდა—
გლისერი, მხოლოდ გლისერი!
დასასვენებლად წავიდა,—
სულ გაუწვრილდა კისერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცუცქია ზღარბის ამბავი

ნოდარ კეკელიძე

ერთ მშვენიერ დღეს ტყეში ხმა დაირხა: ადამიანი მოდის, ტყე უნდა გაკაფოს და ქარხანა ააშენოსო.

— რა უნდა, კაცო, ქარხანას ტყეში?—ჰკვირობდნენ შიშისაგან აცახცახებული მხეცები.

— ყველამ თავისი საქმე იცისო,—დაასკვნა ნადირთა მეფემ—ღომმა და ერთი მადიანად დაამთქნარა.

— არა, მეგობრებო!—ამბობდა მგელი,—ახლა ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ.

— ვაიმე, შვილებო!—შეფიქრიანდა ზღარბი ცუცქია და სანოვაგით დატვირთულმა მძიმედ გასწია შინისაკენ.

ის დღე იყო და, ტყის ბინადარნი გამოუცნობმა შიშმა შეიპყრო. წინათ თუ სანადირობდა და სასუსნავის საშოვნელად სახლ-კარიდან შორს მიეშურებოდნენ, ახლა, ადამიანის შიშით, იშვიათადღა გამოჩნდებოდნენ სამაღავიდან, მიივლმოივლიდნენ, მიჰკრეფ-მოჰკრეფდნენ რაღაც-რაღაცეებს და კვლავ უკანვე ბრუნდებოდნენ.

გადიოდა დრო, დღე-დღეს მისდევდა, ღამე—ღამეს. ადამიანი კი არა და არ ჩანდა, მობეზრდათ ტყის ბინადართ,—როდემდე უნდა ვისხდეთ ასე შეშინებულებიო და, გადაწყვიტეს, დასაზვერად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაეშვათ ისეთი ვინმე, ვინც მათ შორის ყველაზე უშიშარი, მოხერხებული და ეშმაკი იქნებოდა. მზვერავს უნდა შეეტყო, მართლა აპირებდნენ თუ არა ადამიანები ტყის გაკაფვას და ქარხნის აშენებას. ბევრი ითათბირეს, ბევრი არჩიეს და ბოლოს არჩევანი ზღარბ ცუცქიაზე დადგა. უფრო სწორად, თავად ცუცქიამ ითავა ეს საქმე, გამიშვით, მე წავალ, ბოლოს და ბოლოს, რა გახდაო.

ირიჟრაჟა თუ არა, ცუცქია თავის ოჯახს დაემშვიდობა და გზას გაუდგა. ბევრი იარა ცუცქიამ, ძალიან ბევრი, უამრავი ალმართ-დალმართი აიარ-ჩაიარა და ბოლოს, ტყის პირას, პატარა მინდორზე გავიდა.

სახე მოიჩრდილა და იქაურობას თვალი მოავლო. შორიახლოს, სადაც ადამიანებს თავი მოეყარათ, უჩვეულო რკინის ურჩხულს სპილოსავით ხორთუმი წინ გაეშვირა და ძალუმად ეჯაჯგურებოდა მიწას. აიქნევდა იმ ხორთუმს, დასცხებდა დაბღა, მოფხოჭნიდა მიწას რამდენიც შეეძლო და მერე ხორთუმიანად იქით შეტრიალდებოდა, საითაც თვლებზე შემდგარი უზარმაზარი ქშუტუნა რკინის ყუთები ელოდებოდა. ყუთები გაივსებოდა თუ არა მიწით, ადგილიდან უცებ მოწყდებოდნენ და, ჰერიი!—თავქუდმოგლეჯილები სადღაც გარბოდნენ.

— ვახ, ბიჭოს!—გაიოცა ცუცქიამ,—ეე, რა ამბავში არიან ადამიანები?!

ცნობისმოყვარეობამ წასძღია ზღარბს, რაც იქნება-იქნებაო, და, მათკენ გასწია. გაძვრა-გამოძვრა და ერთ ორმოს წინ შეჩერდა. ორმო იმდენად ღრმა იყო, რომ ცუცქიას შიშისაგან გული გადაუქანდა. გამობრუნებას აპირებდა, რომ ადამიანის ხმა შემოესმა:

— შეხედეთ, ზღარბი, ბიჭებო!—კიდევ კარგი, ცუცქიამ ბურთივით დამრგვალება მოასწრო.

— აუჰ, რა მაგრა იჩხვლიტება ეს ბემურაზი, ესა!

— გაუშვი, რად გინდა, სანდრიკ!—შეეხმიანა ვილაცა,—არ გეცოდება?

— რას ამბობ, შაქრო, რა ხანია ჩემს ბიჭს შევპირდი, ზღარბს მოგიყვან-მეთქი, რას გავახარებ!

— ვაი, შენ ჩემო უბედურო თავო,—გაიფიქრა ცუცქიამ,—რა ეშველება ჩემს შვილებს, ვინღა იქნება იმათი მიმხედი?

იმ სანდრიკამ სადღაც უზარმაზარ ყუთში ჩასვა ცუცქია და თან გააფრთხილა, აქედან ფეხი არ მოიცვალო, თორემ, ვაი შენი ბრალიო.

— ეეჰ, ბარემ მოვიცვლიდი, მაგრამ რანაირად, როცა ეს ოხერი ყუთი იმხელაა, რომ ვერც ზედ ავფოფხდები და ვერც სადმე ჰუჰრუტანაში გავძვრები!

ცოტა ხნის მერე ყუთმა ისეთი კუნტრუში და რახრახი დაიწყო, რომ ცუცქიას კინაღამ გული წაუვიდა. კიდევ კარგი, ცუცქია სხვებს არა ჰგავს, მამაცია და ყველაფერს ვაჟკაცურად იტანს. დიდხანს ირახრახეს და იჯაყჯაყეს, ცუცქია ხან ერთ მხარეს დაგორდებოდა და ხან—მეორე მხარეს. ბოლოს სადღაც შეჩერდნენ და ცუცქიას ადამიანის ხმა შემოესმა:

— თანდიდავ!

— რა არის, მამა?—გაისმა წკრიალა ხმა.

— აბა, აქ მო!—პატრონმა ზღარბი ჩვარში გაახვია და თვალუუყუნა ბიჭს გაუწოდა.

— დიდიმე, ზღარბი!—აცმუკდა ბიჭი და ცეკვა-ცეკვით ეზოს მიაშურა.

— ეეჰ, ადამიანო, ადამიანო,—ნაღვლიანად გაიფიქრა ცუცქიამ,—შენი შვილი კი გაახარე, მაგრამ ახლა ჩემს შვილებს ჰკითხე, რა დღეში არიან.

ბიჭმა ზღარბი ეზოში დასვა და იქვე ჩაკუნტდა. უყურა-უყურა, დიდხანს უყურა, მერე ნახა, რომ ზღარბი ადგილიდან არ იძროდა და მამას საყვედურით მიმართა:

— ეს რა მოგიყვანია, მამი?

— რა იყო, შვილო?

— რანაირი ზღარბია, არც ცხვირი აქვს, არც პირი და არც თვალები მოუჩანს, მე კი ნამდვილი ზღარბი მინდოდა!

— ჰა, ჰა, ჰა!—გადაიხარხარა კაცმა,—შე სულელო, ესეც ნამდვილი ზღარბია, მხოლოდ შენი ეშინია, უცხოდაა და ფრთხილობს, ვიდრე არ შეგეჩვევა, ასე გორგალივით იქნება!

ასე დაიწყო ცუცქიასთვის ახალი, უჩვეულო ცხოვრება. ირგვლივ აღარც ტყე იყო და აღარც ჩიტების საამო გალობა ისმოდა. მართალია, ბიჭი თავს ევლებოდა, რანაირ საჭმელს არ სთავაზობდა, მაგრამ ცუცქია არაფერს არ აკარებდა პირს. იჯდა თავისთვის ტახტქვეშ მიყუჟული და ტყეში უპატრონოდ მიტოვებულ შვილებზე ნაღვლობდა.

ერთ დღეს, მამა რომ შინ მოვიდა, ბიჭმა უთხრა:—ზღარბი არაფერს არ ჭამსო.

— აღბათ დარდობს, შვილო!—დაასკვნა მამამ.

— დარდობს?! განა ზღარბმაც იცის დარდი?

— რა თქმა უნდა! შენა გგონია, ზღარბს შვილები არა ჰყავს?

ცუცქია ტახტქვეშ იჯდა და სუდგანაბული უსმენდა მამა-შვილის საუბარს.

— მერე და, თუ ასე იყო, რატომ წამოიყვანე? არ მინდა მე დარდიანი ზღარბი, წაიყვანე უკან!

— ფიქრი ნუ გაქვს, მაგას ისეთ აღაგას წავიყვანთ, რომ გუნებაზეც მოვა და ჭამის მადაც მოუვა!

— სად?—დაინტერესდა ბიჭი.

— წავიდეთ, თავად ნახავ!

ცუცქია კალათაში ჩასვეს, ისევ დიდ ყუთში მოათავსეს, მამა შვილიც იმ ყუთში ჩასხდნენ და რახრახითა და გუგუნით სადღაც წავიდნენ. იგორეს, იგორეს, ბევრი იგორეს და ბოლოს ერთგან შედგნენ. ცუცქიას ხელი დაავლეს და ერთად გაუდგნენ გზას. ცუცქია ცნობისმოყვარეობამ აიტანა, ცალი თვალით გამოიჭყიტა, არემარეს გადახედა და, ჰოი საოცრებავ!—ყველგან ხეები დგას, მაგრამ ტყეს მაინც არ წააგავს, თუ ტყეა და, ამდენ ხალხს აქ რა უნდა?! ან ეს რკინის ლობეები რაღა საჭიროა?!

ასე იყო თუ ისე, ჩამოსვეს ცუცქია და უთხრეს:—წადი, თავისუფალი ხარო. ცუცქია ყურებს არ უჯერებდა, კარგად იცოდა, რომ თავისუფლების მოპოვება აგრე იოლი რიდი იყო და ბურთივით მრგვალი, გარინდული, დიდხანს იჯდა ერთ ადგილას.

— წადი, შე საცოდავო, წადი!—შემოესმა ცუცქიას ბიჭის წკრიალა ხმა. ახლა კი გაბედა ცუცქიამ, ჯერ ცხვირი გამოყო, დაყნოსა იქაურობა, მერე თვალები დააჭყიტა და წინ გასუსუნდა.

— ღმერთო ჩემო!—ფიქრობდა ცუცქია,—ნუთუ მართლა თავისუფალი ვარ, ეს სადა ვარ, კაცო? რა მთაგორიანი ადგილია, რა ბალახ-ბუალხია, არა, ტყეში მაინც არა ვარ, რალაცაშია საქმე!

— გამარჯობა ცუცქიი!—წინ შემოხვდა მეზობელი მაჩვი თარია.

— იი, თარიავ, ბიჭო!—გაიხარა ცუცქიამ,—შენ გენაცვალოს ცუცქია, საიდან-სადაო, კაცო, აქ საიდან გაჩნდი, ბიჭო, ან სადა ვართ, რა ქვეყანაში?

— ზოოპარკს ეძახიან ადამიანები, ცუცქი, რა უჭირს, მართალია, ტყეს არ ჩამოუვარდება, მაგრამ ის მაინც არ არის, ჩემო ძმაო, იქ რომ იყო! სხვა რომ არაფერი, მთელი ღლის განმავლობაში მოდიან ადამიანები, დადგებიან ლობის გადალმა და გვიცქერიან, ნეტა რა გვჭირს მაგათი საცქერი, ჰაი დედასა, აფსუს, ის დრო.

— მაშა, რა დრო იყო!—თავი გააქნია ცუცქიამ,—მაგრამ რას იზამ, ჩემო თარიავ, აღბათ ასე გვეწერა. ნეტა ჩემი შვილებისათვის შემავლებინა თვალი და მერე თუნდაც სული გამძრომია!

ნახატები **ედუარდ ამგოკაძისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ვუყვარს

თავსატეხი



რთველი

ნოდარ შამანაძე

გახურებული რთველია,
მუშაობაა მაგარი;
შემოიპარა მელია,
წააცუნცულა ჯაგანი.
ჩაელიმილა პაპასა,
ეგ სხვა მელიებს არ ჰგავსო,
რომ არ მოგვტაცა ქათმი,
კიდევ ვაჩუქებ ჯაგანსო.

ლეგესი

შეავსეთ ცარიელი უჯრედები საქართველოს ქალაქების სახელებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ წელიწადის ერთ-ერთი თვის სახელწოდება.

შეადგინა თერჯოლის რაიონის, სოფ. ნახშირღელის სკოლის მოსწავლემ **ია ბრეგაძემ.**

დავემშვიდობე სოფელს

ნუნუ ლაღიძე

დავემშვიდობე სოფელს,
მინდორს, ველსა და ბაღებს,
ამ ხილით სავსე კალათს
ჩავუტან ამხანაგებს.
გადავეხვევი ძმურად
ვასოს, მანანას, გელას
და სოფლის ფერად ამბებს
წვრილად მოვუთხრობ ყველას.

ეროვნული ბიბლიოთეკა
76055

ნახატი **სოფიო კინწურაშვილისა**

მთავარი რედაქტორი **მუხრან მაჭავარიანი**

სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბულაშვილი, ედუარდ ამბოკაძე, კუკური გოგბაიშვილი, ლეილა ერაძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯიმშერ მუჯირი, გიორგი როინიშვილი (სამხ. რედაქტორი), **იორამ ქემერტელიძე** (პ/მგ. მდივანი) **რობერტ ღარიბაშვილი, გივი ძნელაძე**

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

საქ. ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი.
ყდაზე ნახატი **ზაურ დეისაძისა**
გამოცემის 60-ე წელი.
ტექრედაქტორი **ენდი ფერეთელი**

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის —93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნოსი — 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 1/VII-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/VIII-77 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზ. ნაბ. ფურცე. 2,5, ტირაჟი 157.000. შეკვ. № 2292. „Дила" № 10. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.